№ 173
1877

# ივერია

№ 173
1903

აგვისტოს 14, ხუთშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

აგვისტოს 14, ხუთშაბათი 1903 წ.

ვისაც ხელი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდან „ივერია“ აღარ ეგზავნება.

პირველ აგვისტოდგან წლის დასლევამდე

**გაზ. „ივერია“**

ჯდება 5 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ., 4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 4 თვით—1 მან. 50 კაპ. 1 თვით—

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ აღბეჭდილი გამოცემული წიგნები:

1.

**წიგნის ისტორია**

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ 14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2.

დანიელ დეფოს

**რობინზონ კრუზე**

მეორე გამოცემა მრავალი სურათით. 162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დამარიგებელ შეიძლება ფას-და-დებით: Тифлисъ, Общество грамотности.

**ახალშენაშვილი**

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილით 8—10 საათამდე და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-ის. კვირაობით დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისადმი.**

თანახმად 1895 წლის 25-ს მაისის უმაღლესად დამტკიცებულ საზოგადოების რეგლამენტის შესახებ იმისა, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელი დაუბრუნებლის ფული, რომელიც მათ ბანკის დაარსებისთვის შეუტანიათ, და აგრეთვე 1900 წლის 8 მაისს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესების მე-7 მუხლის ძალით,—ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ამით აცხადებს, რომ ვისაც აქვს თავიდის იოსებ ზაქარიას ძის ანდრონიკაშვილის მიერ გაცემული კვიტანცია შესახებ წარმომდგენ ოთხს ოთხმოც და ხუთის მანეთისა (485 მან.), ზემოხსენებულ ბანკის დაარსებისთვის შეტანილისა, ვალდებულია, ეს კვიტანცია წარმოუდგინოს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდგან; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საბუთი დაკარგულად ჩაითვლება და მისი ფული ანდრონიკაშვილს მიეცემა.

**კერძო სამკურნალო**

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე.

დილით:

**ვ. ი. ჯაფარიძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ნ. მ. მულიძე**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულებით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და კანის სნეულებათ 11—1 ს.

**ზრ. ვ. ხოჯალაშვილი**—დოსტაქრობა და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

რჩევა-დარიგება 10 მ., ოპერაციები მორიგებით, კრისტ. 3 მან. 5 მანეთიდგ. სამკურნალოში ავადმყოფებს იღებს ყოველ დროს.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკია, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

**გ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 ს. ხელოსტაქრობა, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**ყ. ზ. რიშაძე.** 9 საათიდგან 10 საათამდე შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობანი.

**გ. გ. ავეტიქიანი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფობანი.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ლ. ვ. ბარტოლდი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 8½—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

## ტ ფ ი ლ ი ს ი

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ქართლში, გორის მაზრაში, ჭირნახულის მოსავალი საშუალოზე ნაკლები იყო. ხალხს სიმინდის იმედი ჰქონდა, მაგრამ ამ დღეებში აღმოსავლეთის ხმელმა ქარმა ზრდა შეაჩერა და სულ ააყვითლა. ვენახები ხომ სულ დაისეტყვა და პატრონ-მშრომელს ველარ ანუგეშებს.

ქ. პოლტავის მოურავი ატყობინებს „ივერიის“ რედაქციას, რომ 30 და 31 აგვისტოს დღესასწაული იქმნება ივანე პეტრეს ძის კოტლიარევსკის ძეგლის აგების გამო, და სთხოვს რედაქციას თვისი წარმომადგენელი გაგზავნოს ქ. პოლტავაში. პოეტი კოტლიარევსკი მამად მიაჩნიათ უკრაინის ახალ მწერლობისა და მთელი მალოროსია აღტაცებით იგონებს მის სახელს. დღესასწაული ამ პროგრამით შესრულდება: პირველ დღეს კურთხევა იქნება პოეტის კოტლიარევსკის საფლავის ქვისა და მის ძეგლისა ბულვარზე; ქალაქის საბჭოს ამავე დღეს, საღამოს, სადღესასწაულო კრება ექმნება ნ. ვ. გოგოლის სახელზე აგებულს სახლში. მეორე დღეს იმავე დარბაზში სალიტერატურო და სამუსიკო დილა გაიმართება. შემდეგ ქალაქი სადილად მიიპატიჟებს საპატიო სტუმრებს, ხოლო მსურველთ შეუძლიანთ სადილს თავის საფასურით დაესწრნენ, ხელის მოწერით. საღამოს წარმოდგენას გამართავენ მუსიკალურის განყოფილებითა და აპოთეოზით. წარმოდგენილ იქმნება „ნატალკა პოლტავკა“. შემოსავალი გადაიდება კოტლიარევსკის სახელზე სკოლის დასაარსებლად.

ჩვენ მოგვივიდა პროგრამმა პირველ მცენარეულობის მომყვანთა კრებისა, რომელსაც მფარველობს მისი უმაღლესობა პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგსკი. კრება იქმნება სამცენარეულოთა გამოფენის დროს, რომელიც იწყება 1 აგვისტოს. წევრებად იქმნებიან ყველანი, ვისაც მამული აქვს შავის ზღვის ნაპირას და ვისაც რაიმე ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში. მსურველთ წინადვე უნდა მიჰმართონ გამოფენის ბიუროს და საწევრო ბარათი მიიღონ.

ქ. გუმბრიდგან (ალექსანდრეპოლი) გვატყობინებენ, რომ იქ ვიღასაც მოუკლავს მღვდელი გრიგოლ ვასილოვი, ტომით ბერძენი. მიზეზი მკვლელობისა ჯერ გამორკვეული არ არის.

ჩვენ გვატყობინებენ, რომ სოხუმის ქალაქის საბჭოს მიერ გამგეობის წევრად არჩეული თ. სახოკია გუბერნატორს არ დაუმტკიცებია ამ თანამდებობაზე.

ჩვენ გვატყობინებენ, რომ მღვდლის იროდიონ ჩეკურაშვილის ერთი მკვლელთაგანი გუშინ-წინ ავლავაბარში დაუჭერიათ.

გუშინ-წინ სხდომა ჰქონდა სათავად-აზნაურო კომისიას, გუბერნიის მარშლის თავმჯდომარეობით. კომისიას უნდა დაენიშნა სტიპენდიები ღარიბ მოსწავლეთათვის. კომისიის გარდაწყვეტილება ბევრისათვის მეტად საინტერესოა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერა გავიგეთ-რა, თუმცა გუშინ შევეკითხეთ თავად-აზნაურთა დეპუტატების მდივანს.

ყველა სახაზინო რკინის გზებზედ რუსეთში აპირებენ საღამოს კურსები დააარსონ, რომ მოხელეთ შეასწავლონ რკინის გზის სამსახურის წესი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუმტკიცებია და გამოუგზავნია პროექტი ტფილისის ელექტრონის ტრამვაისა.

ტფილისის საბაღოსნო სკოლის შეგირდები გუშინ-წინ ამ სასწავლებლის გამგემ ბ-ნმა ჯაფარიძემ კახეთს წაიყვანა, სადაც უნდა დაათვალიერონ საუფლისწულო მამული. შეგირდები ტფილისიდგან ფეხით წავიდნენ, გაივლიან ს. მამკოდას, ჩაშმსა და კახეთს გადავლენ.

### ქუთაისის ახალი ამბები.

როგორც სარწმუნოთ გავიგეთ, ქუთაისში აარსებენ ქალების ოთხ-კლასიან სახელმწიფო პროგიმნაზიას, საიდანაც კურს დამთავრებულნი პირდაპირ ქალების გიმნაზიის მეხუთე კლასში გადავლენ. პროგიმნაზია მოთავსებული იქმნება ლ. ქორქაშვილის მემკვიდრეების შენობაში, ორპირის ქუჩაზე.

ქუთაისშივე მთავრობის ნებართვით, ქ-ნნი თ. გ. მაჭავარიანისა, ე. ვარჯიშვილისა და ი. მუსხელიშვილის ასულნი პირველის ენკენისთვიდან აარსებენ ქალების ოთხ-კლასიან კერძო პროგიმნაზიას სასწავლებლისათვის დაქირავებული აქვთ თავ. ნიჟარაძის შენობა, ტფილისის ქუჩაზე.

როგორც მკითხველებმა იციან, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა უარი გამოუცხადა ქუთაისის სააზნაურო სასწავლებლის მმართველს მეხუთე პროგიმნაზიულ კლასის გახსნაზედ. ამგვარად ის 30 მოწაფე, რომელთაც წელს გაათავეს სასწავლებელი, უადგილოდ რჩებიან. როგორც ეხლა გავიგეთ, სკოლის სამზრუნველო კომიტეტს გადაუწყვეტია ტფილისის სააზნაურო სკოლის კომიტეტს სთხოვოს, რომ მეხუთე კლასთან გახსნას პარალელური განყოფილება და თავის მხრით ჰპირდება შემწეობას 1000 მანეთს. ამ საგნის შესახებ მოსალაპარაკებლად ტფილისს გაემგზავრება ამ დღეებში ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე, რომელიც კომიტეტის წევრად ირიცხება.

ქუთაისში სახლების შენება ძლიერ გახშირდა. შენების დროს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სიფრთხილეს, რომ მუშები არ დაშავდნენ. ამ ერთის კვირის წინად ბალახვანის ქუჩაზე, მ—ის სახლის შენების დროს, ერთი მუშა გადმოვარდა მაღლიდან და ძლიერ დაშავდა, რომლის პატრონს, როგორც გავიგეთ არავითარი შემწეობა არ აღმოუჩენია დაშავებულისთვის. საჭიროა, ქალაქის გამგეობამ მეტი ყურადღება მიაქციოს სახლების წესიერად შენებას, რომ ამგვარი შემთხვევები ხშირად არ განმეორდეს.

ქუთაისის სააზნაურო სასწავლებელში მოწაფეების ხელმეორედ გამოცდა დაიწყება 25 აგვისტოდან.

ქუთათურ მეეტლეთ საქმე აქვთ გაჭირვებული რამდენისამე ქურდ-ბაცაცისაგან, რომელნიც მთელის დღეობით დააქროლებენ ეტლებს და საღამოს, ფულის მიცემის მაგივრად, კიდევაც სცემენ. ამას წინად მეეტლენი გაიფიცნენ და სამუშაოდ აღარ აპირებდნენ გამოსვლას, თუ ამ ქურდ-ბაცაცებისაგან არ განგვათავისუფლესო, მაგრამ მალე გატეხეს ფიცი. ამ დღეებში ერთი ჯიბგირთაგანი ფ—ძე ჩასჯდომია მეეტლეს და უბრძანებია, გასწიო. მეეტლე არ დათანხმებულა. ფ—ძეს დამბაჩა ამოუღია და მოკვლას დამუქრებია. ამ დროს მივარდნილან სხვა მეეტლეები, გადმოუთრევიათ ძირს და იმდენი უცემიათ, რომ ძვალ და რბილად უქცევიათ.

## ჩვენებური ამბები

**ს. ხაშმი** (ტფილისის მაზრა). ზოგს მადლობას უბნებიან, სადილებს უმართვენ ხანგრძლივის სამსახურისათვის, მეტადრე ისეთ მძიმე და სასარგებლო მოვალეობის შესრულებისათვის, როგორიც არის მამასახლისობა. მაგრამ მადლობას ვინა სჩივის, ნეტავი საპანღურეთ არ გახდომოდა საქმე ჩვენს ნამამასახლისარს თ. ქოქრაშვილს. იმან ისე გაიადვილა ეს მძიმე უღელი და ისე უსარგებლოთ ჩაატარა მისი მნიშვნელობა, იქამდის თვითნებობდა, რომ ხალხმა ბოლოს ვეღარ გაუძლო, მოინდომა მისი გადაყენება და გადააყენეს კიდეც. ანდაზისა არ იყოს, წყალი რომ დაგუბდება, აყროლდებაო. ისიც ცხრა წელიწადი იყო მამასახლისად და მეტისმეტად შეეჩვია მის მრჩოლ მხარეებს. მხოლოდ სხვისა დარდი არ აწუხებდა. არამც თუ არ აწუხებდა, კიდეც სდევნიდა, მაგალითად, ისეთ კეთილ და სოფლისთვის სასარგებლო საქმეს, როგორც წარმოდგენები, ბიბლიოთეკა, სკოლა და სხვა. ყოჩაღი იყო მხოლოდ ბეგარაზედ ხალხის გარეკის დროს... ამ ცხრა წლის განმავლობაში სოფელმა ძალიან უკან დაიწია განვითარების მხრივ.

აი სწორედ მაგიტომაც 8 აგვისტოს, მამასახლისის არჩევანი რომ იყო, მაზრის უფროსის თანდასწრებით, ხალხმა ერთ ხმად აირჩია უფრო ღირსეული კაცი, ესტატე ლოლაძე; მხოლოდ ძველისაგან მოითხოვა ანგარიშის ჩაბარება შემოსავალ-გასავლისა. ვნახოთ, როგორ ჩააბარებს.

ახალი მამასახლისისია დიდი იმედი გვაქვს. მეტის ყურადღებით მოეპყრობა სოფლის საზოგადო საქმეებს. ეგეთი საქმეები-კი, გასახარიანთ ბლომად არის! მხოლოდ გულშემატკივრობაა საჭირო.

დავიწყოთ თუნდა იქიდან, რომ აგერ თხუთმეტ წელიწადზედ მეტია, რაც ყველა ხაშმელი ცალკ-ცალკე გაიძახის, წყარო გამოვიყვანოთ და ფული, რაც შამხვდება, გადავიხდითო. მაგრამ აქამდისაც ეს საქმე ისევ მოძინებულია დაუდევრობის ბალიშზედ. სოფელი უქმოდ არის—ფერშალია საჭირო, მაგრამ სად არის? ხალხი გაწყვიტა უყურადღებობამ, უწამლობამ, მოუვლელობამ. რამდენჯერაც მოიწვიეს (ისიც უხეიროები), იმდენი გაექცათ, რადგანაც ჯამაგირს თავის დროზედ არ აძლევდნენ. ფერშალი საჭიროა უთუოდ.

სკოლას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ბიბლიოთეკას სოფელმა დახმარება უნდა გაუწიოს, არამც თუ ოთახის მიცემით, არამედ ფულითაც. მაღაზიის გძელი ოთახი რომ არის, სადაც ეხლაც იმართება წარმოდგენები, ის უნდა თეატრისთვის დარჩეს და წარმოდგენები იმართებოდეს. იმედია, ახალი მამასახლისი ესტ. ლოლაძე თეატრისთვის იზრუნებს ამ მხრივ და ძველი მამასახლისივით ურიების დუქნებათ გადაკეთებას არ მოისურვებს; მით უფრო იმედია ამისი და სხვა საკეთილო საქმეთა შესრულებისაც, რომ იგი გაგებული და სოფლის საჭიროების მცოდნე ადამიანია; თითონაც გული უძგერდა სოფლის საკეთილდღეოდ და აი ესეც შემთხვევა მიეცა, შეასრულოს თავისი სურვილი.

ისარი.

**ს. რუისი.** (გორის მაზრა) ადამიანს გული გიკვდება, როდესაც უხსოვარის დროიდან, მამა-პაპათა შრომითა და ღვაწლით აგებულს ეკკლესიებს, გალავნებს, ციხეებს, უყურებ დაუდევრობით მინგრეულ-მონგრეულს, უსუფთაოდ შენახულს და სხვა ასეთ მდგომარეობაში. შევყურებთ მერე ისიც შვიდას კომლიან სოფელში ჩვენთვის დაუფასებელ საუნჯეს, ფერისცვალების ეკლესიას, ხელოვნურად ნაკეთებ ნაჩუქურთმევს. ამ ეკლესიის გალავანი თავისი ციხეებით ჩამონგრეულა, თვით ეკლესია ჟამთა ვითარებისა გამო ადგილ-ადგ დაზიანებულა. სადაც წვეთს უდენია, შელესილი კირი მთლად მოჭმორებია; ზოგან აბურცულია, დღეს არა ხვალ მოიმზღვლევა. ჩრდილოეთითა და სამხრეთით მიდგმული სალაროები დარღვეულები არიან; ჩრდილოეთის სალარო მაინც ცუდ მდგომარეობაშია. შუა კედელი ჩამონგრეულა თუ ჩამოუნგრევიათ, ასე რომ კაცი ადვილად შევა და გამოვა. ორ არშინიანი კარები ვერ მოუხერხებიათ, ორი ფოშტის ჩამოხერხილი ფიცარი მიუკრავთ. თვით ეკლესიის კარ მიდამოც ერთობ უსუფთაოდაა შენახული. ეკლესია განახლებასა თხოულობს, პატრონი და გულ შემატკივარი-კი არავინ უჩანს. საჭიროა დღესვე მიაქცევდნენ ყურადღებას. ვისიც ჯერ არს, თორემ დღითი დღე უარეს დღეში ჩავარდება და ხარჯსაც ერთი ორათა და სამათ მეტს მოითხოვს.

ამ უსიამოვნო ამბავთან არ შემიძლიან სიამოვნებით არ მოვიხსენიო მასწავლებელი ქალი დეკანოზიშვილისა, რომელსაც ისე მოუმზადებია თავისი პაწია შეგირდები ქართულ გალობაში, რომ ადამიანი სასთებაში მოჰყავს მათს სასიამოვნო და მწყობრ გალობას. არც სხვაფერ აკლებას თავის შრომას, მაგალითად წარმოდგენას აპირობდნენ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ, თითქო ერთმანეთს ეცილებოდნენ საქმის მოწყობრიგებაში ქალ-ყრმანი. იმედია, ეს ჯანითა და ღონით სავსე ადამიანები, ამ მათ პაპათ სავანესაც მიაქცევენ ყურადღებას.

თვით დღეობამ უფერულად ჩაიარა, დილიდანვე მთელი დღე წვიმდა, ისე ციოდა, შემოდგომა გეგონებოდათ. ხალხი ძალიან ნაკლები დაესწრო. უწესოება არა მომხდარა, თუ ანგარიშში არ მივიღებთ გალეშებულ სოფლის ყარაულებს, რომელნიც როგორც შემოსულ ფაშარ ხალხს, ისე მძინარე მლოცავთ აწუხებდნენ უზრდელი სიტყვა-პასუხით და სხეარაულოს თხოვნით.

დროებითი მეთვალყურე.

# რუსეთი

გაზეთებში დაიბეჭდა ბალანსი სადლეხო ბანკისა. ბალანსი ჰმოწმობს, რომ საქმე წინ მიდის და ბანკი ძლიერდება. 1 იანვრისათვის სულ გაცემული ჰქონია სესხი გლეხთათვის მამულების სასყიდლად 318 მილიონი მანათი. ისიც რომ მივუმატოთ ამას, რაც სხვა წესითა და საფუძვლით არის გაცემული ბანკიდგან, საერთო რიცხვი ადემატება 325 მილიონს, იმიტომ რომ თვით ბანკსაც შეუძენია მამულები ნაჭერ ნაჭერ მისაყიდად გლეხთათვის და ამ მამულებზედ ვალად ირიცხება 20 მილიონამდე. ბანკი გირავნობის ფურცლებსაც, ანუ მოწმობათა გამუდმებით უმატებს და დღეს ეგ მოწმობანი ტრიალებს 322 მილიონამდე. ამ ფურცლებს ბანკი ანაღდებს შემნახველ კასებში. მოწმობანი კასებში რჩება, ხოლო ფული მამულის გამყიდავთ ეძლევა. ბანკს საკუთარი თანხაცა აქვს 21 მილიონამდე. ამ საკუთარს თანხას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ ფულით ადვილია ყიდვა დიდის მამულებისა და ნაჭერ-ნაჭერ გაყიდვა გლეხებზედ.

— სამეტეოროლოგიო კრება მოწოდებულ იქმნება პეტერბურგში მეცნიერებათა აკადემიის მიერ ამ შემოდგომაზედ.

— კიეში მიდან ერობის სკოლების მასწავლებელნი ქალნი მიდიან ექსკურსიად სამზღვარ-გარედ და უნდათ დაათვალიერონ იქაური სკოლები, მუზეები, ბიბლიოთეკები. თითოს უჯდება წასვლა 75 მან.; ექსკურსიისათვის საჭირო ფული ზოგი შემოწირულებით იქმნა შეგროვილი და ზოგიც თვით მასწავლებლებს შემდეგ გამოერიცხებათ ნაწილ-ნაწილ ჯამაგირიდან.

— მოსკოვში ამ შემოდგომიდან არსდება სამი სახელოსნო სასწავლებელი. ფული ამ სასწავლებელთა დასაარსებლად და შესანახად შესწირა ცნობილმა ქველმოქმედმა პ. გ. შელაპუტინმა—სულ 200.000 მან.

— კოსტრომაში, თუმცა პატარა ქალაქია და 50,000 მეტი მცხოვრები არ არის, სამი მომხმარებელთა საზოგადოება არსებობს.

— ამას წინად რუსეთის კერძო ეკონომიურმა საზოგადოებამ დაიწყო დიდის წიგნის ბეჭდვა—საერთო განათლება რუსეთში—**Народное образованіе въ Россіи.** ამ წიგნის ბეჭდვაზედ დახარჯულა დღემდე 63 ათასი მანათი. აქედან 15 ათასი გაუღია თვით საზოგადოებას, 22 ათასი კერძო შემოწირულებით შეგროვილა, 17 ათასი მანეთი ხელის მოწერით შესვლა წიგნის მბეჭდელ კომისიის, 9 ათასი მანათი უესხნიათ. მასალის შემუშავება, რაიცა უსასყიდლოდ სწარმოებდა, სულ ცოტა, ჰღირს 50.000 მან. წიგნის ბეჭდვის დათავებისათვის საჭიროა თურმე კიდევ 25 ათასი მან. კომისიას მიუმართავს საერობო და საქალაქო დაწესებულებათათვის და უთხოვნია შემწეობა ამ კეთილ საქმეში. იმ წიგნში, რამდენადაც ვიცით, ცნობანია მოთავსებული საერთო განათლების შესახებ კავკასიასა და საქართველოშიაც.

# უცხოეთი

**ბულგარია.** ბულგართა ცნობილმა პუბლიცისტმა ს. რადევმა ვრცელი წერილი დაბეჭდა გაზ. „ვეჩერნი პოჩტა“-ში და ამტკიცებს,—მაკედონიაში 20-ს ივლისს გამოცხადებული ბრძოლა აუცილებელი საქმე იყოო.

„ეს ტრაგიკული აუცილებლობაო,—სწერს რადევი,—თვით ევროპამ შექმნა და ამიტომ მის თავს იქნება მთელი ცოდვა ამ საშინელ სისხლის ღვრისა. ბერლინის კონგრესზე ევროპამ დიდის ამბით აღუთქვა მაკედონიის მკვიდრთ,—შინაურ თვით-მმართველობას მოგანიჭებთო. ამ აზრით ჩინეთული წესდებაც შეიმუშავა, მაგრამ შემდეგ სრულიად დაივიწყებას მისცა იგი და ისევ სისხლის მსმელ ოსმალებს მიანება მაკედონელთა სვე-ბედი. მას შემდეგ ყოველი კანონიერი ღონისძიება სცადეს მაკედონელთ, რათა ევროპის ყურადღება მიეპყრათ და გამოეწვიათ იგი, თანახმად საურთიერთო ხელშეკრულობისა, მოსარჩლედ. მაგრამ არა გაუვიდათ-რა. მის მაგიერად, რომ პირდაპირ იძულებულ ეყოთ ხონთქარი და დაეკისრებიათ აუცილებლად რეფორმების შემოღება, როგორც ბერლინის ტრაქტატის მე-23 მუხლი მოითხოვდა, დიდი სახელმწიფონი მხოლოდ რჩევას აძლევდნენ ხონთქარს,—ისიც გაუბედავად,—მცირეოდენი ცვლილება მაინც მოახდინე მაკედონიის ადმინისტრაციაშიო. ევროპის ამ გვარს საქციელს ის შედეგი მოჰყვა, რომ ოსმალნი უფრო გააანჩხლა და გააბოროტა, მოხელეების სიმკაცრემ და უდიერობამ უმწვერვალესობამდე მიაღწია, და საბრალო მცხოვრებთ-კი მცირეოდენი შეღავათიც არ ეღირსათ...

მართვა-გამგეობის უწესოებამ, მოხელეთა განმანადგურებელმა პოლიტიკამ, მკვიდრ ოსმალთა დაუნდობლობამ არამც თუ არ იკლო უკანასკნელად გამოცხადებულ რეფორმების შემდეგ, პირიქით, საოცარის სისწრაფით იმატა. ევროპამ თავად იკისრა ქრისტიანეთა მფარველობა, მაგრამ მფარველობის მაგივრად, ფანატიკური შურის-ძიება აღძრა ოსმალთა შორის; ხოლო როცა უკიდურესობამდე გამწვავდა ქრისტიანთა და ოსმალთა ურთიერთობა, ევროპა განზე გადგა და გულგრილად დაუწყო ცქერა ქრისტიანეთა მუსვრას

სკოპიაში კონსულთა გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ იმ საშინელ მხეცობას, რომელსაც მაკედონელი ოსმალნი სჩადიან, თვით მთავრობაც ხელს უწყობსო. მაგრამ არც ამ ამბებმა იმოქმედა ევროპაზედ: თითქოს ყინზედ, ევროპა მაინც არ იღებს ხმასა, არ უნდა საქმეში ჩაერიოს აღარ ვკვირვობთ, რომ კონსულთა ზემოხსენებულ გამოძიებას სრულიად წინააღმდეგი შედეგი მოჰყვა: მიჰყვეს ხელი და სასტიკად დაუწყეს დევნა ყველას, ვინც-კი, თავისდასაუბედუროდ, გაჰბედა ევროპის წარმომადგენელთა წინაშე საჩივრის განცხადება.

ევროპის გამოსარჩლებას, როგორც აღვნიშნეთ, მუდამ არა-სასურველი შედეგი მოსდევდა ხოლმე მაკედონიის ქრისტეანეთათვის; მაგრამ იმის თქმა-კი არ გვინდა, ვითომ სასურველი არ იყოს მისი გამოსარჩლება; პირიქით, დიდად სასურველია, ხოლო არა იმ სახით, როგორც აქამდე: გამოსარჩლება ვერაფერ სიკეთეს მოგვიტანს, თუ ჩვენს მოსარჩლეს გარკვეული პროგრამ არ ექნება და ბეჯითად არ შეუდგა საქმეს; დღემდე-კი ევროპას არც პირველი ჰქონია და არც მეორე.

ევროპის ჩარევა მაკედონიის საქმეებში ერთად-ერთი საღსარია, რომელსაც შეუძლია მაკედონიის საკითხის გარდაწყვეტა. მხოლოდ ევროპის მოქმედება პერიოდული და პლატონიური როდი უნდა იყოს. არა, იგი მუდმივ უნდა ჰმოქმედებდეს — ზედამხედველობა უნდა დააარსოს მაკედონიაში. ევროპა მეგობრულ რჩევა-დარიგებას-კი არ უნდა აძლევდეს ხონთქარს (რადგან დარწმუნდა, რომ ყოველივე მისი რჩევა უნაყოფოდ რჩება); არამედ ძალას უნდა ატანდეს, უნდა აკისრებდეს—ასე და ასე მოიქეციო.

სანამ ევროპა ასე არ მოიქცევა, მაკედონიაში მშვიდობიანობა არ დამყარდება. ოსმალთა ძალმომრეობა მუდამ შეიარაღებულ წინააღმდეგობას გამოიწვევს ქრისტეანეთა მხრივ და სისხლის ღვრას დასასრული არ ექნება.

კომიტეტებს ტყუილად აბრალებენ ეხლანდელს მოძრაობას:

იგინი მხოლოდ ხელმძღვანელობენ, წესიერებას იცავენ მეამბოხეთა შორის, და ისე გონივრულადაც ჰმოქმედობენ, რომ ევროპას არავითარი საფუძველი არა აქვს საყვედურ ით აავსოს იგინი. კომიტეტები კარგა ხანს იყვნენ გაჩუმებულნი; ევროპას შეეძლო ამ ხნის განმავლობაში იძულებულ ეყო ხონთქარი და რეფორმები შემოეღებინებია. კომიტეტებმა მხოლოდ მაშინ გამოაცხადეს აჯანყება, როცა დარწმუნდნენ, რომ ევროპა ყურსაც არ იბერტყავს, თავს არ იტკივებს ტანჯულ ქრისტეანეთა უნუგეშო მდგომარეობის გასაუმჯობესებლადაო. მეტი ღონე შეუძლებელი იყო.

ევროპის უმოქმედობამ დააჩქარა აჯანყება, რადგან შინაური მდგომარეობა მაკედონიისა უარ და უარ მიდიოდა, თუმცა საქმის მოთავეთ გარდაწყვეტილი ჰქონდათ საერთო აჯანყება არ მოეხდინათ, სანამ უფრო მოხერხებული დრო არ დადგებოდა. ბრძოლა ადგილ-ადგილ რამდენისამე თვის წინად იყო დაწყებული. ადგილობრივ ვითარებისაგან შევიწროვებულნი პატარ-პატარა რაზმებს ადგენდნენ და მოხელეთა სიმკაცრეს ცეცხლითა და მახვილით აძლევდნენ პასუხს. ამგვარად მაკედონიაში დაიწყო ბრძოლა, ბრძოლა გმირული, შეუპოვარი, მამაცური. მაგრამ ეს ბრძოლა მხოლოდ ასუსტებდა მცხოვრებთ, ევროპის გული-კი მაინც ვერ მოიგეს. რომ ასე გაგრძელებულიყო კიდევ რამდენსამე ხანს, ქრისტიანენი მკვიდრნი სრულიად გაიჟლიტებოდნენ თითქმის შეუმჩნევლად. აჯანყების ხელმძღვანელთ კარგად ესმოდათ ესა და იმიტომაც გამოაცხადეს საერთო აჯანყება... რით გათავდება, ჯერ ვერას ვიტყვით. მხოლოდ ეს ცხადია, რომ ევროპამ ორში ერთი უნდა აირჩიოს: ან ჩაერიოს საქმეში და გამოექომაგოს ჩაგრულ ქრისტეანთ, ან თავის თვალწინ ნება მისცეს ბარბაროს ოსმალთ ერბაშად გასწყვიტონ, აღგავონ დედამიწის პირიდგან მაკედონიის მკვიდრი ქრისტიანები“.

## პარიჟიდგან ბათომამდე.

(წერილი მეორე *)

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

საფრანგეთის გაერთიანება, მშვიდობიანობა და უშიშრობა დიდ სავაჭრო გზებზედ, მეზობელ ქვეყნებთან კარგი განწყობილება,—ყველა ეს უფრო და უფრო მნიშვნელობას უმატებდა ლიონს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში საფრანგეთის ერთი უმთავრეს ქალაქთაგანი გახდა. მისს ზრდა-განვითარებაზედ ცოტა გავლენა არა ჰქონია აგრედვე ზოგიერთ მოულოდნელ შემთხვევებს, მაგალითად, იტალიის რესპუბლიკთა შორის ჩამოვარდნილ განხეთქილების დროს, რომელსაც ექსორია დაერთო, ბევრმა გარდახვეწილთაგანმა მიჰმართა ლიონს მე-XV საუკ. ამ გარდმოხვეწილთ მთელი თავისი ძალღონე შეალიეს ლიონის აღყვავებას, მაგრამ მიუხედავად ამ თანდათანობით წინსვლა აღყვავებისა, ლიონს მაინც არ დაუჭერია პირველი და უმთავრესი ადგილი საფრანგეთში. რომის ეპოქაში შეერთებული გალლია იყო პროვინცია უზარმაზარ იმპერიისა, რომლის ცენტრიც იტალიაში იყო. ამიტომ გალლიის დედა ქალაქს აუცილებლად უნდა ჰქონოდა ერთსა და იმავე დროს მოხერხებული გზები, როგორც მთელის იმპერიის დედა ქალაქისაკენ, ისე სხვა პროვინციებისაკენაც და ამასთანავე უნდა ყოფილიყო თვით პროვინციის ცენტრიც. ლიონს უნდა დაეკმაყოფილებინა ეს მოთხოვნილებანი და ამიტომ რომმა გაჰხადა ის გალლიის პროვინციის დედა-ქალაქად.

როდესაც-კი გალლი-საფრანგეთი რომისაგან სრულიად დამოუკიდებელ ცალკე სახელმწიფოდ ჰხდება, მაშინ აქ, ამ ქვეყანაში, პირველობით მნიშვნელობას ჩემულობს რომელიმე ადგილობრივი ცენტრი. ამნაირ ცენტრად კი, სხვა-და-სხვა პირობების ძალით, გაჰხდა Il de Frang-ეს სამეფოს ცენტრი—პარიჟი, რომელიც სხვაფრივაც არ იყო მხოლოდ ადგილობრივი ცენტრი. ლიონის მრეწველობის ზრდამ და წინსვლა-აღყვავებამ საფრანგეთის დიდ რევოლიუციის წინად მახლობელ საუკუნეებში, შეჰქმნა ლიონში მთელი რიგი ამქართა ძლიერი ორგანი-

# ფელეტონი

## ნახული და გაგონილი

### V

ქართველი ჯარის კაცი და მისი სიმღერა.

ჩვეულებრივმა, უბირმა მამაკვდავმა არ იცის, პოლიტიკა რა ხილია. ლექსიკონიც ვერ უშველის; იმას-კი კარგად მიხვდება, რომ ზოგჯერ ამ უცნაურმა პოლიტიკამ ვნების მოტანა იცის ხოლმე, ისე, ტყუილ-უბრალოდ. ვისთვის რა ხელსაყრელია, მაგალითებრ რომ რომელიმე ტეტია იტანჯებოდეს, სნეულდებოდეს, იცლებოდეს სისხლისა და ხორცისაგან და ტანზე მკბენარი ეხვეოდეს მის გამოფიტულს სხეულსა? დამეთანხმებით, რომ არავისთვის, მაგრამ მაინც მოლოხი—პოლიტიკა თავისას არ დაიშლის. ასეთია მისი აგებულება, ასეთია მისი ტიბიკონი.

ნართაულად ლაპარაკს რომ თავი დავანებოთ, აი რა უნდა აღვნიშნოთ. საქართველოში საზოგადო სამხედრო ბეგარა შემოიღეს 1887 წლიდგან. მთავრობის აზრი და განზრახვა ისეთი იყო, რომ ჩვენში მოკრეფილი ჯარის კაცი ჩვენშივე უნდა ემსახურებინათ. რომ აზრი და განზრახვა ასეთი იყო, ჩვენ დანამდვილებით ვიცით. ამ აზრით განმსჭვალული ერთი კარგად ცნობილი მაზრის უფროსი გულწრფელად ეფიცებოდა მთიულებს: ხალხო და ჯამაათნო, შეიგნეთ და შეისმინეთ, რომ ადგილიდგან არავინ დაგძრავთ, ასეთია მთავრობის სურვილი. განა სირცხვილი, თავის მოჭრა არ იქნება, რომ ქართველმა უარი შეუთვალოს თავის მეფეს—მეშინიან, ომში ვერ წავალო?.. გასჭრა გულწრფელმა სიტყვამ, გზა გაიგნო ერის გულისაკენ. მაშ, რახან ეგრეა, ვინ პირ-ძაღლი დაიზარებს მეფის სამსახურსაო...

ჩვენში მოკრეფილი ჯარის კაცნი აქვე დასტოვეს. გააწყეს რამდენიმე „დრუჟინა“, სადაც თითქმის სულ ქართველი აფიცრობა იყო. სმა, ჭამა, ჩაცმა-დახურვა ჩვენებური იყო; გართობა, მხიარულება, ზნე და ჩვეულება ჩვენებურივე, ადგილობრივი გამეფდა. უცხო გინების მაგიერ ჯარის კაცს ჩვენებურივე ესმოდა. მართლაც, თუ არჩევანზე მიდგა საქმე, „პადლეცისა“, „სვინიისა“ და „სვოლოჩის“ მაგიერ „მამაძაღლო“ და „ვირო“ სჯობიან. უკანასკნელის აზრს გაიგებ მაინც. ეხლაც შიშის ზარი დამკრავს ხოლმე, როცა მაგონდება ჩვენის ბავშობის დროს გალობის მასწავლებელი. ცეცხლ-მოკიდებული რომ დაგვიღრიალებდა „საკრამენტო“, გულები გვისკდებოდა ჩიტებივით. შემდეგ გავიგე, რომ ამ იტალიურ სიტყვაში აგრე საშიშო არა ეყარა-რა, მაგრამ იმ დროს, გაუგებრობის გამო, თავ-გზას გვიბნევდა.

თურმე ახალგაზდა ბიჭს, ჯარის ნაწილში რომ პირველად მიიყვანენ, უცნაური სენი უჩნდება. დარდობს, იჩაგრება, მხიარულება ეკარგება, სევდა და ბოღმა გულს უღრღნის, სწუხს და ჩუმად, უსიტყვოდ თავს იდარდიანებს, ვერ ინელებს სამშობლო სოფლის, ნაცნობ ყმაწვილ-ბიჭების, ნათესავობის მოშორებას. რუსები ამ სენს ეძახიან „тоска по родинѣ“. ასეთი სევდიანი აიღებს თავსა, რაკილა ველარ უძლებს დარდსა და, მიუხედავად იმისა, რომ სასტიკადაა აღკრძალული დეზერტირობა (გაქცევა ჯარიდგან), როგორც ინდოური, დაადგება გზასა და მიეხეტება სამშობლო სოფლისაკენ. დაიჭერენ საცოდავს სადმე ორას-მესამე ვერსზე და დააბრუნებენ ნაწილში. დასჯიან, მაგრამ მეორედ, მესამედ კიდევ გარბის, ისეთი ძლიერი ყოფილა ეს ბუნებრივი გრძნობა. აფიცრობა დიდადა სცდილობს, რომ ეს სენი მოარჩინოვით არ მოედოს ახალგაზდა ჯარის-კაცობას. ამისათვის სხვა-და-სხვა გასართობებს უმართავენ, ამღერებენ, ათამაშებენ, ეგები ამაებით გული გადიყოლიონ და დაუამონ მწვავი გრძნობა—დარდი. სამშობლოს განშორებით გამოწვეული.

კარგად მახსოვს ერთი საღამო. სტუმრად იყო ჩემთან ქართველი აფიცერი. კარი დაგვიკაკუნა ვიღაცამ. გავუღეთ. ჩვენ წინ გამოიჭიმა ფელთფებელი კუზმა. მოსულიყო ჩვეულებისამებრ, მოსახსენებლად, რომ როტაში სრული მშვიდობიანობაო.

აფიცერი კაი გუნებაზე იყო და მხიარულად ჰკითხა:

— ჩემი ბატალიონის ბიჭები როგორ არიანო?

კუზმა შეგნებული და მიხვედრილი ჯარის-კაცი აღმოჩნდა, რომ იტყვიან, „тертый калачъ“-იო, სწორედ ისეთი. კარგად იცოდა, რა ესიამოვნებოდა ბატალიონის კამანდირს და თამამად მოახსენა:

— ვართობ, ვამხიარულებ, თქვენო ბრწყინვალებავ.

— აბა, როგორა, კარგად მიამბე.

— შევკრეფავ ხოლმე ახალ მოსულებს ერთად, მე თვითონ გულდაღმა გავწვები დედამიწაზე, დავხუჭავ თვალებს და ვუბრძანებ, რომ გადამახტნენო. ისინიც ზედ მახტებიან; ზოგი, რაკი დარწმუნებულია თვალებ დახუჭული ვერას დავინახავ, ისეთს წიხლს ჩამცხებს ხოლმე, რომ სულ ჰაჰებს მაყრევინებს. მე ვითომ ვერა ვხედავ, ვინც ჩამაზილა წიხლი და იმათაც უხარიანთ, ხარხარებენ, რომ ფელდფებელი გააწბილეს და კარგად შეთეთქვეს გვერდებში.

— ყოჩაღ, ჩემო კუზმა, აგრე უნდა, ჯერ ხამები არიან, რუსული არ იციან და ცოდვაა ცუდად, სასტიკად მოპყრობა,—შეაქო უფროსმა ახირებული გართობის მომგონი.

ლაპარაკში მეც ჩავერიე.

— კუზმა, შენ ხომ ქართული არ იცი და იმათ კიდევ რუსული, როგორ ასწავლი სამსახურს, ან ვიდრე „გართობას“ გამოაწყობ, რა ენაზე ელაპარაკები, რას აგებინებ ქართველ ბიჭებს?

— ეენობა რას დაგვიშლის, გართობას რა ენა უნდა, პატარა ბავშვიც ახერხებს თამაშსაო. სამსახურის შესწავლაც ძნელი არ არისო *).

დიდადა სცდება სამსახურში „გამოცდილი“ კუზმა, ვითომც ენის ცოდნა აგრე რიგად საჭირო არ იყვეს, მაგრამ დავანებოთ თავი სამსახურის ერთგულს კაცს; აბა, ამას რა მოვსთხოვოთ.

დიაღ, დრუჟინებში სულ სხვა იყო. ჯარისკაცი თავისიანებში გრძნობდა თავსა, არ იჩაგრებოდა, სამშობლოს მოშორების დარდი არ უღრღნიდა გულსა, ცეკვავდა, თამაშობდა, მღეროდა და ჰიდაობდა, ერთის სიტყვით მხიარულობდა, ერთობოდა, მაგრამ ისე „ახირებულად“ კი არა, როგორც კუზმაართობს რუსელებს, ბუნებრივად. ასეთი გართობა იმითი იყო კიდევ კარგი, რომ თვით აფიცრობა იღებდა მონაწილეობას, ე. ი. მოჰიდავეებს აქეზებდა, ტაშს უკრავდა, უწონებდა სიმღერას, ვაჟკაცობას. ბრგე ბიჭის გამარჯვებით მისი აფიცერი ამაყობდა და საქვეყნოდ ლაპარაკობდა. ასეთი ლაპარაკი ყაზარმამდის მიდიოდა და ჯარისკაცს გულს უფონებდა. ასეთს ახმოსფერაში დაჩაგვრას ადგილი აღარა აქვს. ალბად მეც კაცი ვყოფილვარ, იფიქრებდა ჯარის-კაცი, თუ თვით როტის კამანდირს და პოლკის უფროსს მივსწონვარო. გაითვალისწინეთ ასეთი სურათი. გაშლილ მინდორზე ბინაა დაცემული პოლკისა. გამართეს ჭიდაობა. თვით კამანდირი უყურებს სეირს. გამარჯვებულს აფიცრობა მხიარული ყიჟინით აჯილდოვებს, მიჰყავს კომანდირთან, რომელიც შუბლზე ჰკოცნის და უწონებს სარმას, ან მოგვერდს. ისიც წარმოიდგინეთ, რომ ეს კომანდირი ჩვენებური დიდი მემამულე, თავადიშვილია, აი თუნდ კოტე ერისთავი. აუწერელი იქნება სიხარული ასეთის ჯარის კაცისა. ჩვენ მის სიღრმეს ვერ მივხვდებით. დარწმუნებული ვარ, ასეთს ბედნიერს ჯარის-კაცს რომ უბრძანოს უფროსმა, ომის დროს, ცეცხლში გადავარდიო, წარბს არ შეიხრის და გადავარდება. აკი ვარდებოდნენ კიდეც ძველი მედრუჟინენი თავიანთ საყვარელ აფიცრების ხელში. ვისაც არა გჯერათ, გარდაიკითხეთ ერთი დაუსრულებელი ქებათა-ქება ქართველი ჯარის-კაცისა, რომელიც უძღვნა ქართველ მედრუჟინეთ ნ. ა. ვოლკონსკიმ. (იხ. მისი ისტორია დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძის ქართველთ ქვეითის დრუჟინისა. 1831—1881 წ. ტფილისი 1884 წ. 1—434+1—94 გვ.)

ეხლაც, როცა ვკითხამ აქაურ ძველ მედრუჟინეს, იბრაჰიმ ოსმან-ოღლი ჩიკვაიძეს,—როგორი იყო სამსახური კახეთში მეთქი,—თავს ჩაღუნავს, ამოიოხრავს და მორცხვად იტყვის ხოლმე:

— ე, ბატონო, იქ ტყვიისაგან სიკვდილი სჯობდა აქ მწარე სიცოცხლესაო.

ასეთივე ჩვენებური სული ტრიალებდა, ჩვენებური გული ჰფეთქავდა ახალს დრუჟინებში (1887 წლიდგან), ეხლა რომ მსროლელთა ბატალიონებად გარდააკეთეს.

როგორც მოგახსენეთ, ამ ჟამად გაჰქრა ყველაფერი, ვითარცა კომლი. ჩვენებურ ჯარის-კაცებს შიდა გუბერნიებში ჰგზავნიან, ან ჩრდილოეთ კავკასიაში, თურქესტანში და შეიძლება მანჯურიაშიაც მალე გაგზავნონ, როგორც ურჩევს მთავრობას ჩვენი კეთილის მყოფელი ბ-ნი ველიჩკო.

თვით მთავრობამ აღნიშნა თვის ანგარიშებში, ამერ-იმერნი სასტიკ ჰავას ვერ იტანენ, უძლურდებიან და გამოფიტულს სხეულს მკბენარი ეხვევაო. სიკვდილითაც ბევრნი იხოცებიან შედარებით რუსის

*) ახალგაზდა ჯარის კაცნი, რომელთაც ასე ახირებულად ართობდა კუზმა, რუსელი და კავთისხეველი ბიჭები იყვნენ. როტაში ჯარის კაცებს ფელდფებელისა უფრო ეშინიანთ, ვიდრე აფიცრისა. მათი სული და ბედი მის ხელშია.

ზაციებისა (ხელოსანთა საზოგადოებისა), რომელიც კერძოდ თავის განვითარებისა და აყვავებისა, და საზოგადოდ ფესვ-გადგმულ ჩვეულებისა გამო, უკიდურეს კონსერვატიულ ხასიათისა იყო.

როდესაც იფეთქა დიდმა რევოლიუციამ, რომელიც თავ-გამოდებით ებრძოდა ყოველსავე ძველს წეს-წყობილებას, როგორც ფეოდალიზმსა და სამღვდელოებას, ისე ამქართა კორპორაციებს, რომელთაც პირადად, განსაკუთრებული უპირატესობა ამოქმედებდათ და სასტიკად სდევნიდნენ ყოველგვარ თავისუფალ წარმოებას,—აი აქედგან დაიბადა შეურიგებელი მტრობა დიდს რევოლიუციასა და ლიონს შორის!.. ერთის მხრით განადგურება ყოველისავე მითვისებულ საკუთრებისა—თავისუფლებისა და თანასწორობის სახელით; მეორეს მხრით, პირადი, განსაკუთრებული წყალობანი და წარმოების სასტიკი დაწესებულებანი,—აი ორი მოპირდაპირე, რომელთაც სასტიკი ბრძოლა ჰქონდათ ერთმანეთ შორის!.. აქ ლიონმა მეტის-მეტი ნაშიში წინააღმდეგობა გაუწია რევოლიუციის მოთავეებს ბილოსკილიოსი იძულებული შეიქნა მიემართნა უცხოელთათვის და შველა ეთხოვნა... რესპუბლიკის ჯარებმა ალყა შემოარტყეს ლიონს; დიდხანს იყვნენ დამწყვდეულნი ლიონის მოქალაქენი. ხანგრძლივ შიმშილ-წყურვილის შემდეგ, ლიონის მკვიდრნი დანებდნენ 1793 წელს და 1,682 მოქალაქეს ზოგს თავი მოჰკვეთეს და ზოგი კიდევ დახვრიტეს. თვით ქალაქს კი წესი აუგეს—სრულიად გაანადგურეს და გააოხრეს. მხოლოდ პირველ იმპერიის დროს გაიმართა ლიონი ცოტად წელში და დაიწყო ნანგრევებისაგან თავის დაღწევა.

მაგრამ მეორე უდიდესი რევოლიუცია მისდა სავალალოდ ტყუილა არ დაწყებულა და მისთვის უმნიშვნელოდ არ ჩაუვლია: უძლიერეს აფეთქების შემდეგ, რომელმაც ძველი წესრიგი ლიონისა სრულიად ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა, დიდი, მეტად დიდი დრო იყო მისთვის საჭირო, რომ მისი ისტორიული მღელვარე ტალღები დაწყნარებულიყო და ეპოვნა მკვიდრი და შეურყეველი ბინა, დამდგარიყო თავის დონეზე, ჩამდგარიყო მშვიდობიან კალაპოტში...

მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ლიონმა ბევრი გაჭირვება გამოსცადა, ბევრი რამ გადაჰხდა თავსა, რის მოწამეც მხოლოდ თვითონ იყო, მხოლოდ თავის მტირალ თვალით უცქერდა ყკელაფერს... მოქალაქეთა აწიოკება, აფეთქება, დანგრევა ქალაქისა, მრავალჯერ მუშათა აჯანყება მაშინდელ წესწყობილებისა და სისხლის მსმელ კაპიტალისტების მტარვალობის წინააღმდეგ, პოლიტიკურ თავისუფლებისა და მუშათა ქონებრივად ცოტად თუ ბევრად უზრუნველ ყოფისთვის განუწყვეტლივ ბრძოლა პროლეტარებისაგან,—აი ღვიძლი შვილები მე-VIII საუკუნის ბოლოსი და მე-XIX საუკუნის პირველ ნახევრისა, რომელნიც ლიონმა გამოსცა და თავის თავზედ და იგი იყო ერთი იმ მცირე რიცხვოვან ქალაქთაგანი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს რევოლიუციასა და აფეთქებაში უმწვერვალესის ზიზღითა, სიმძულვარითა და ამასთანავე სასოწარკვეთილებით, რომელსაც ეწოდება კომმუნა 1871 წლისა!

ვ. ხუდადოვი.

# ნარკვევი

ევროპაში დიდის ხალისით და საკმაო ნიჭით მწერლობენ და ლიტერატორობენ ქალებიცა. ქალების დაწერილი რომანები, მოთხრობანი აუარებელია. მხოლოდ ზოგიერთნი დარგნი სალიტერატურო შემოქმედობისა ვერ ეხერხებათ ქალებს. ეს არის ლექსებისა და დრამატიულ ნაწარმოების წერა. საინტერესოა ამ საგნის შესახებ ემილ ფაგეს აზრი.

შვენიერი რამ ამბავია უფრო მხრივ ის გარემოებაო,—ამბობს ემილ ფაგე,—რომ ქალი მწერლობასა და ლიტერატურაში წილს იღებს. არავითარს უხერხულობას აქ არა ვხედავ, არც უსიამოვნოსა და არც საშიშარსა. დედაკაცები დაბადებითვე ლიტერატორები არიან. იმათ რომ წერილების წერა ეხერხებათ, ამას ჯერ ისევ ლაბრიუერი და ვოლტერიც ამბობდა. ვინც კარგად სწერს წერილებს, შეიძლება გლახა მოლექსე იყოს, ან ნაკლების ნიჭის დრამატურგი, გარნა ნამდვილად შეიძლება სთქვას კაცმა, რომ რომანს დასწერს; იქნება ეს რომანი კარგად ვერ იყოს შედგენილი, მაგრამ სასიამოვნო წასაკითხი მაინც იქნება. მეორე მხრივ დედაკაცნი დაბადებულნი არიან ფსიხოლოგებად და მორალისტებად. დაკვირვება ეხერხებათ დაწვრილებით და სისწორით. ამ დაკვირვებას მიაჩვია დიდის ხნის ბრძოლამ მამა-კაცის წინააღმდეგ. რაკი დედაკაცნი იძულებულნი იყვნენ მამაკაცის ძალ-ღონისათვის დაპირდაპირებინათ მოხერხება, ამიტომ უკვირდებოდნენ, სწავლობდნენ, უთვალ-თვალებდნენ მამაკაცს. ამის გამო მიეჩვივნენ მათს აზრს მიხვედრილიყვნენ, თვალებზედ შეემჩნიათ, რას ფიქრობდნენ მამაკაცნი, მათის სახის მეტყველებით გაეგოთ გულის ნადები მამაკაცთა. ეს ნიჭი, რომელიც დედაკაცის მონობამ შექმნა, შერჩათ დედაკაცებს დღესაც. ამას გარდა დედაკაცებს ეხერხებათ თავიანთ თავს უგდონ ყური, უკვირდებოდნენ. თავიანთ წერილებში ბევრს ლაპარაკობენ თავიანთ თავისას, ხოლო რომანებში უმთავრეს გმირებად დედაკაცნი გამოჰყავთ.

ემილ ფაგეს აზრით, რაკი დედაკაცნი დაბადებულნი არიან მწერლებად, ფსიხოლოგებად, ცხადია, ისინი ხალისით უნდა მიეცნენ ლიტერატურას და განსაკუთრებით რომანების წერას.

სალირიკო პოეზია და რომანები,—აი რა უნდა იყოს მათის შემოქმედობის სფერათ,—განაგრძობს ფაგე. დიდის სიამოვნებით შევყურებ ამ ლიტერატურულ მისწრაფებას. არ ვარგა, როცა მამაკაცი დედაკაცს დაემსგავსება, გარნა ცუდი არ არის სრულიად, თუ დედაკაცი მამაცობას და მამაკაცურს სიმტკიცეს იჩენს. ცოტა არ იყოს თავს არ მოდის, როცა მამაკაცი ელეგიასა სწერს, ან რომანებსა სთხზავს და ნახევრად დედაკაცების ფსიხოლოგიას გადმოგვცემს. ამისთანა კაცი თითქო დედაკაცთა ტანში კვრას ელის და ისეთს საქმეს ადგია, რომელიც უფრო დედაკაცებს მოსწონთ. ელეგიების მწერალი კაცი, თუ დიდებულის ნიჭისა არ არის, აგრეთვე რომანისტი, თუ ბალზაკი და ფლობერი არ არის, იქნება დედაკაცს არა ჰგავდეს, მაგრამ მაინც თითქო დედაკაცური მამაკაცია.

დედაკაციც, რომელიც რომანებსა სწერს, თავის მხრივ ბევრს კაცურს თვისებას იძენსო,—განაგრძობს ფაგე. როდესაც რომ თავი დაანებოს, ან ქარგვასა და ან აკვარელით ხატვასა და რომანების წერა დაიწყოს, ეგ იმას ჰნიშნავს, რომ ცოტა აზრი მაინც ჩაიწნას დედაკაცმა თავის ცხოვრებაში. თან და თან, როცა სალეგიო პოეზია და რომანი ქალების საქმედ გადიქცევა, მამაკაცნი აღარ მიეტანებიან ამგვარს მწერლობას. ჯერ ეხლაც მამაკაცს—ლიტერატორს ბევრსა სთხოვენ. სთხოვენ, რომ მისი რომანი უფრო დიდი რამ იყოს, ვიდრე რომანი; სთხოვენ იდეას, ტეზისს, საზოგადო თეორიას, ღრმად შესწავლას ზნე-ჩვეულებისას. ამას თვით ავტორნიც ჰგრძნობენ და ხალისით ველარ ჰკიდებენ რომანების წერას ხელს. მამა-კაცთა და დედაკაცთა შორის შრომის განაწილება სწარმოებს: მამაკაცებს ის საქმე რჩებათ, საცა ძლიერი აზრია საჭირო, დედა-კაცებს, საცა გრძნობის ამშლელი მოთხრობაა საჭირო. რასაკვირველია დიდებული ელეგიური პოეტი მაინც დიდებული შეიქმნება, დიდებული რომანისტი,—მომავალი დიკენსი, ტოლსტოი დიდებულ რომანისტად იქცევა და ამას არცა რა ემჯობინება-რა. გარნა ჩვეულებრივი, შუათანა შემოქმედობა, კარგი და ლამაზი ლექსები, ან გულის ამჩუყებელი რომანები მაინც დედაკაცის საქმედ გადიქცევა, და ეს ხომ ფრიად სასურველიც არის, ემილ ფაგეს აზრით.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 აგვისტო

**პეტერბურგი.** „კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია დებულება იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყოს ყოფა-ცხოვრება სახელმწიფო გლეხთა და გადასახლებულთა, რომელნიც დასახლებულნი არიან სახელმწიფო მიწებზედ ამიერ კავკასიის ხუთს გუბერნიაში; ამას გარდა დამტკიცებულია წესები უცხოელთ განდევნაზე რუსეთის საზღვრებიდამ.

**ოდესა.** გემი „ტერეცი“ გუშინ საღამოთი გამოვიდა სტამბოლიდამ და მოასვენებს როსტკოვსის გვამსა; ხვალ დილისათვის მოელიან ოდესაში; გვამს თან მოსდევს მეუღლე სახლობით; დასაფლავება იქნება ოდესაში ახალს სასაფლაოზე, სადაც მისი მამაა დასაფლავებული.

**პსკოვი.** პსკოვის გუბერნატორმა ხელმწიფე იმპერატორის მადლობა გამოუცხადა ხალხს აღტაცებულის დახვედრისათვის; ამის შესახებ განცხადება გამოაკრა ქუჩებში; ხალხი აღტაცებით კითხულობს.

**ცეტინიე.** ბულგარეთის სადიპლომატო აგენტმა რეზოვმა რწმუნების ქაღალდი გადასცა მთავარსა. მთავარმა ნიკოლოზმა აღნიშნა ძმური ერთსულობა ორ მოძმე ერთა შორის.

**სტამბოლი.** გემი „ტერეცი“, რომელიც მოასვენებს როსტოვსკის გვამსა, დღეს აქ მოვიდა. წირვის შემდეგ „ტერეცი“ ზღვაში გავიდა რუსეთში წასასვლელად.

**ბუდაპეშტი.** გუშინ დაიწვა გოლდბერგის საწყობი; 170 მოსამსახურეთაგან გადარჩნენ ისინი, ვინც ქვედა სართულში მუშაობდნენ. ზემო სართულიდამ მუშები ხტებოდნენ საგანგებოდ გაშლილს ფარდაგებზე, 13 კაცი დაიღუპა, 16-ი დაშავდა 40-ზე მეტი დაიწვა.

**სტამბოლი.** 800 ოსმალი და 60 ბერძენი, რომელნიც გამოიქცნენ მეამბოხეთაგან გადამწვარ სოფლებიდან—ვასილიკო, პორტუნაკ და ინიადიდან, შეაფარეს კავაკის ლაზარეთში.

**სტამბოლი.** რუსეთის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი პორტას პასუხმა დააკმაყოფილა.

**კამენეც-პოდოლსკი.** აქ ერთობ სენსაციური საქმე მოხდა; ერთს ბანკირს აქაური მემამულენი გაუბეგრია. საქმე გამოამჟღავნა ერთმა დაჩაგრულთაგანმა, რომელმაც გუბერნატორს ქაღალდი მიართვა. ამისი მილიონად ღირებული მამული დაენიშნა მოვახშეს გასასყიდად 5000 მ. ვალში, რომელიც 42,000 მანეთად გაეხადნა. მოვახშის სახლის გაჩხრეკამ საშინელი გამბედაობა აღმოაჩინა ბრალდებულისა: მან პოლიციის თვალწინ დასწვა ის ქაღალდები, რომელიც სახელს გაუტეხდა; რამდენიმე ქაღალდი კი დაიჭირეს. საქმეს მსვლელობა მიეცა.

**მადრიდი.** მთავრობა აცხადებს, რომ ის ხმა, კითომ განძრახვა ჰქონდათ მეფის მოკვლისა, უსაფუძვლო გამოდგა.

**პარიჟი.** ინდო-ჩინეთის გუბერნატორი ბო წავიდა საფრანგეთში და თავის ადგილზე აღარ დაბრუნდებაო.—ლაბორიმ დაუმალა ემბერებს, საკასაციო საჩივარს ნუღარ მისცემთო.

**შანჰაი.** წყალდიდობამ დიდი ზარალი მისცა შანტუნგის რკინის გზასა. ყვითელი მდინარე კალაპოტიდამ გადმოვიდა. ტზინონფურისა და ზღვას შუა ადგილი წყალში ტივტივებს.

**სტამბოლი.** სოფელ როკიტოს, კაილარის ოლქში, თავს დაესხნენ, 13 კაცი წაიყვანეს.—119-ი მეამბოხეთაგანი დაატყვევეს კრუშევოში და მონასტირში მოიყვანეს; ჯარს დარჩა დავლად იარაღი, სამი ყუმბარა, ორი ზარბაზანი და დროშა ზედ-წარწერით „სიკვდილი“.

**ჰონკონგი.** გერმანიის მისიონერს გომეიერს თავს დაესხნენ ზღვის ავაზაკნი პე-კიანგთან. ის გაძარცვეს და მძიმედ დასჭრეს; მისი ცოლი, მოსამსახურე და მენავე დასჭრეს. გერმანიის კონსული დაეძებს დამნაშავეთა.

**ადენი.** ფრანგთა და აბაშელთა შორის ურთიერთი დამოკიდებულება შეირყა იმიტომ, რომ პირველნი არ აძლევენ საქონლის გადასატანად იმ ხარჯსა, რაც დააწესა ჯიბუთის რკინის გზამ. აბაშელებმა აუკრძალეს მუშაობა საეტლო გზაზე დირედავიასა და ხარრარომის სად-

---

ჯარის კაცებთანაო. საგუბერნიო თავადაზნაურთა კრების სალაპარაკოდაც გახდა ეს ფრიად სამწუხარო საგანი.

ახლა ვიკითხოთ, ვისთვისაა საჭირო და ხელსაყრელი, რომ კოხტა, წამოსადეგი, ნაზი იმერი, ან ჩასხმული, ბრგე ამერი, წელში გასწყდეს, ჩაყვითლდეს, ჩხიკვით გახდეს, დაჭლექდეს, უდროოდ წუთისოფელს გამოეთხოვოს? ღმერთმა ხომ იცის, რომ არავისთვის.

ამბობენ, სასტიკი ჰავა ცუდად მოქმედობსო. ჩემის აზრით, ეს მტკნარი ტყუილია. ვინ ამბობს, სასტიკს ჰავასაც გავლენა აქვს, მაგრამ უპირველესი მიზეზი ჩვენებური ჯარის-კაცის დასუსტება-დაავადებისა ის შეუფერებელი სულიერი ატმოსფერაა, რომელიც გარს ახვევია უცხოეთში. სამშობლოს განშორების დარდი სულიერს ძალას უკარგავს, უცხო, შეუჩვეველი გარემოება სჩაგვრავს, ენის უცოდინარობა პირუტყვად აქცევს და ხდება, ფუჭდება ვაჟკაცი. წამხდარს, დაცემულს არსებას-კი, მკბენარი-კი არა, ჯანდაბა და ლოზანაც დაემართება.

ამ კვირია გავმინჯეთ ხუთი ჯარის-კაცი. დაებრუნებინათ შინ, გამინჯეთ, შეამოწმეთ და, თუ განუკურნებელი სენით არიან ავად, სამსახურიდგან გაანთავისუფლეთო. ხუთივე გავანთავისუფლეთ. ექიმთა აზრი—ამას „ბუგორჩატკა“ (ჭლექი) უკანასკნელ ხარისხამდე მისდებიაო, ნევსივით ესობოდა გულსა. მწუხარებით იყო სავსე ერთი 21-ს წლის ჯავახის მილეული თვალები (ნათენაძე). ჰგრძნობდა საცოდავი, რომ მალე გამოეთხოვებოდა ტოლ-ამხანაგს და ველარ დასტკბებოდა თვისი სოფლიდგან ვარძიის დიდებულ კლდე-მაღაროების ხილვით.

—

ჯარის ყოველს ნაწილში მოიპოვება მომღერალთა გუნდი (пѣсенники). ჩვენებური ან სულ ვერ იღებენ მონაწილეობას მომღერალთა გუნდი, ან თუ იღებს თითო-ოროლა, ისიც ნასწავლთაგანი თუა. უცხო სიმღერის კილოს, სიტყვებს ადვილად ვერ შეითვისებს და ამგვარად რჩება გარეშე სევდის გამქარვებელ საშუალებისა.

წინად-კი, ძველსა და ახალს დრუჟინებში, სულ სხვა იყო. ეხლანდელისავით ჯარის კაცი გატეხილი, დაჩაგრული, დაბეჩავებული არ იყო. ამისათვის შემოქმედობის ნიჭიც მუშაობდა, შემოქმედობა იხატებოდა ლექსთა თხზვაში.

შარშან, შემოდგომაზე, ჩვენი პატარა ქალაქი აივსო ქართველ ჯარის კაცთა ლექსთა-სიმღერით. გრიალი გაჰქონდა მათ მხიარულს, ღონიერს, ხალისიანს სიმღერას. გავოცდი, პატარა-კახი ხომ არ ამდგარა საფლავიდგან, ან გამარჯვებულმა ს. ასპინძასთან ხომ არ გამოიარა ჩვენს ქალაქზე მეთქი. ოცნება მალე გაიფანტა. თურმე ნუ იტყვით: სამის კვირით, კანონისამებრ, შეეკრიბათ ჩვენი ნასალდათარები (გორის პოლკისა და დრუჟინისა) სავარჯიშოთ. ჯარის კაცებს ისევ წინდა-პაჭიჭები ეცვათ (წაღების საღირალი ფულად დაერიგებინათ), ზოგს ნაბდის ქუდები ეხურათ. მაზარაზე და თოფზე შეატყობდი მხოლოდ, რომ ჯარის-კაცნი არიან და სამხედრო ვარჯიშისთვის შეუკრეფნიათ.

ერთს საღამოს, ზემოდ აღნიშნულმა შტაბ-აფიცერმა შემოიყვანა ჩემთან შუაგულ ქართლელი, ზორბა, მოხდენილი ბიჭი და ამნაირად გამაცნო: ესაა რაზმის მომღერალთა მეთაური, სიმღერის დამწყობიო. სალამ-ქალამის შემდეგ, სკამი შევთავაზე და გამოვკითხეთ სამსახურის ამბავი. გორში ვმსახურებდი, როცა გორის პოლკის კამანდირად თავადი კოტე ერისთავი იყოვო. ქართველი ჯარის-კაცობა ბლომად ვიყავით. აფიცრებიც ქართველობა საკმაოდ იყოვო: ქაიხოსრო ფურცელაძე (ექიმი), ჯაყელი, წულუკიძე და სხვანიო.

თვითონ ს. კირბალიდგან იყო, უკვე დაცოლშვილიანებული, ანდრო იოსებისძე დათიაშვილი. ლექსებს ბევრს იგონებდა და ზემო ნიქოზელი ბიჭი კოტე ქელიძეო.

ქვემოდ მოყვანილ ლექსებში ბევრი არა ყრია-რა, მაგრამ დახასიათებით-კი ახასიათებს ჯარის-კაცის ფსიხიკას. აი თვითონ ეს ლექსნიც:

—

I

დალოცვილმა ხელმწიფემა
ე რა საქმე მოგვიგონა;
ბიჭები სალდათად მიჰყავს,
გოგოები დაგვიღონა.
ნეტა იმათი ტუტუნი,
ნეტა ერთ კაცს გააგონა.
ჩარდახიანი ურემი
ზედ კარებზედ მოაგორა,
ჩაუჯდები და გავყვები,
გინდ რომ იყვეს თათრის მოლა.
მე რო კენჭი ამოვიღე,
მაშინ იყო შავი დღეო.
ზოგსა დანიშნული ჰყავდა,
ზოგსა ხელში დარჩა ბეო;
ზოგი ღმერთს ეხვეწებოდა,
ღმერთო, რაზე დამბადეო.

—

II

სამსახურის სიმღერა.

(კილო ლაშქრობისა, ანუ „პახოდისა“ როგორც დათიაშვილმა უწოდა.

სამსახურში ჩვენი ხარჯი,
ეხლავე გეტყვი, რა არის.
სუყველა ბევრი გამოდის,
თორე ყოველ დღე მზა არის.
ქაში და ბორში გამოდის,
ის რაღა დიდი ზღვა არის!
რაც კაცი იმას შეუძლებს,
იმის მუცელი ქვა არის.
სულ ვიძახით: ფული, ფული *).
შინ ერთი მარტო ძმა არის,
ზოგი საბატონო არის,
ზოგი ბატონის ყმა არის.

*) სალდათები შინაურებს რომ აწუხებენ, ფული გვიგზავნეთო, იმასა ნიშნავს.

ერთ წყვილს ჩექმას გადმოჰყრიან,
ნეტა ნახო იმის ფერი!
გარდი-გარდმო შეკერილი,
არც ის არის ჩასაცმელი.
ჩოთქსა და ვაქს ეძახიან,
მოკვდეს იმის გამჩენელი.
უნდა ჩექმას უფხაკუნო,
როგორც წისქვილს სარეკელი.
თუ კი ჩექმას არ „გაჩისტამ“,
და ისე დარჩება ყელი,
„ბეგომზე“ დაგაყენებენ,
მაშინ ნახე შენი ფერი.
იძახიან: „ნასკი, ნასკი“ **)
და ასრე გეჭიროს ხელი;
რუსები მიჯავრდებიან,
რო აღარა მქონდა ფერი.

III

საბანაკო სიმღერა ***)

ყველა კაი ბიჭები ვართ,
კაი დედის დაზრდილები.
დღე გრძელობით გავათავეთ
თიანეთში „ლაგერები“.
მერმე ქვევით წამოვიდნენ,
„პესნი“ დაჰკრეს ჩქარა-ჩქარა.
ზოგი რუსულადა მღერის,
ზოგი ყვირის ბალა-ბალა.
ძეგვში რო ჩამოვიარეთ,
ატამი რა ბლომად მდგარა.
კალათებით გადმოყარეს,
სალდათებმა გაიხარა.
ერთი ქალი ქვეშ მოიდეს,
წელი ძლივას გაიტანა.
მეორე ქალმა კიდევა
ვენახის კარი გამიღო:
შედი, კრიფე ჩქარა, ჩქარა.
ერთი ჩანახი მოვკრიფე,
მეტიც არა მქონდა ძალა.
მერე იქიდგან წამოველთ,
ახალქალაქში ჩამოველთ.
„აბედათ“ დამზადებული
ბორში გახდა ხათაბალა.

**) კამანდა: бѣгомъ маршъ.

***) ესეც კამანდაა. ფეხის თითის წვერებზე სირბილი.

ზოგმა ბევრი ბორში ჭამა,
ზოგმა ქუა დაიტანა.
ზოგ ფეთებელს დაეთხოვა,
ზოგი ისე გაიპარა.
მერმე იქიდგან წამოველ,
გზაში შემაშინა ვირმა.
ხიდი ყურზე დაიბლავლა,
ის გახეთქოს შავმა ჭირმა.
ზედ გორზე გამოვიარეთ,
გზა ასე იყო ხერხია;
ისე გავტოპეთ ლიახვი,
არ დაგვიხდია ფეხია.
ტინი ხიდის მინდორშია
ვიზნიქებოდით წელშია;
რუისში რომ დავისვენეთ,
„რანცებმა“ დაგვჭრეს მხრებია.
თოფები „დავასასტაეთ“, ****)
სუხარი მოგვცეს ხელშია.
იმ დროს მივედით სურამში,
შუადღე იყო ჩვენშია.
ისე გვიამა „კაზარმა“.
როგორც კაცს ღვინო ტყეშია.
მერმე იქიდგან წამოველთ
თხუთმეტ ენკენისთვეშია.
გამგზავნეს „ნაჩნოჩშია“, *****)
ვიკაკვებოდი წელშია.
უნდა მისდგე ამ რუსებსა,
სუ სახრე სცემო გვერდშია.
გვერდი ისე გაუხადო,
როგორც შავი თხის მეშია.
ისევ ჩემ თავს მე უთხარი,
ჭკუა სად არის ტყეშია.
ერთი წლისა გულითვინა
რაზე დავკარგო ლეშია.
ე რაღა ჩემი ბიჭობა,
მე ველარ მივალ ჩვენშია.

ა. ფრონელი.

****) კილო მგზავრულია. შემოკლებით მოგვყავს. აწერილია მგზავრობა თიანეთიდგან სურამამდე.

****) სამხედრო ტერმინია: составить ружья.

*****) ღამით დარაჯობა.

გურებს შორის. ჯიბუთში მოელიან სენეგალის ჯარის რაზმს.

**ბელგრადი.** მეფე პეტრე შეილებითა და თავადიარსენი, რომელთაც მინისტრი მაშინი ახლავს, გამგზავრა სამეფოში სამგზავროდ და გამართა ტოპოლაში.

**სტამბოლი.** როგორც რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის საელჩოებს შეატყობინა პორტამ, სალონიკის ვილაიეტში ჯუფთებმა სოფ. ტურკაში, დოზრანის ოლქში, 40 კაცი მოჰკლეს, რამდენიმე მაჰმადიანი და თან წაიყვანეს ტყვედ ხუთი მაჰმადიანი და ქრისტიანები.—კაიმაკალაგანის მთებში ბრძოლა მოხდა; ჯუფთებს 15 კაცი მოუკლეს და 13 დაუჭრეს; ჯარებს 6 მოუკლეს და 3 დაუჭრეს.— უენიდშ ვარდარის ოლქში ჯუფთებმა წაიყვანეს მინდვრის დარაჯი ქრისტიანები.—მონასტრის ოლქში, სოფ. ზონდინში ჯუფთებმა დასწვეს ხუთი სახლი და ცხრა ქოხი.

13 აგვისტო.

**პარიჟი.** გარდაიცვალა აუცილებელი სეკრეტარი უცხო ხელოვნებათა აკადემიისა ლარუმე, რომელიც სწერდა ისტორიისა და სიტყვიერების შესახებ.

**მინსკი.** ნოვოგრუდკას იმართება მუდმივი სპედაგოგიო კურსები პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად.

**მოსკოვი.** რუსის მაზრაში არსდება სამი პატარა სასოფლო სამეურნეო საზოგადოება.

**ირკუტსკი.** მოვიდა აქ ამ ქვეყნის უმროსი გრაფი ქუთაისოვი.

**რომი.** პორტო-მაურიციოდანა და სან-რემოდან იუწყებიან, სუმბუქი მიწის ძვრა იყო წუხელ რამდენიმე წუთის განმავლობაში. ზარალი არაარისრა.

**პეტერბურგის ბირჟა** 12 აგვისტო

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 93,65 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | 45,92½ |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | 37,27½ |
| ლონდონში ჩეკები . . . . . | 94,35 |
| ბერლინში „ . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში „ . . . . . . | — |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | .5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 99½ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . | 100½ გაყ. |
| 4% გირავ. ფურც. სახელ. საადგ. | |
| მამულთ ბანკისა . . . . . | 95⅛ მყიდ. |
| 5% 1-ლ შინ. სესხის მომგებ. | |
| ბილ. 1864 წ. . . . . . | 445 გაყ. |
| 5% მეორე შინაგ სესხის მომგებ. | |
| ბილ. 1866 წ. . . . | 338¾ წვ. გაყიდ |
| 5% გირავნ. მომგ ფურც. საელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . . | 290¾ გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . . . | 94¼ |
| 4½% ობლიგაც იმავე აზოგადოებისა. | — |
| 4% ტფილ. საადგ. მამ ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . . | 92¼ გაყ. |
| 4½% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა . . . . . . . . | |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . . . . | |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 91¾ წვ.-გაყ. |
| პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 9226 |
| ქციები. „ „ „ | |
| „კასპიის ამხანაგობისა. | |
| „ ბაქოს ნავთის საზოგად. | 380½ წვ. გაყ. |
| „ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. | |
| ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 188½ წვ. გაყ. |

**ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი**

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 2 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

**კავკასიის მუზეუმი**

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

**საეკკლესიო მუზეუმი**

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობით და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება. შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს— ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

**ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა**

ქ. ტფილისში.

| | |
|---|---|
| საათობით . . . . . . . | 60 კ. |
| ერთგზობით . . . . . . . | 30 „ |
| ქალაქიდგან ავლაბარში . . . | 40 „ |
| ნავთლუღში . . . . . . . | 50 „ |
| ავლაბრიდგან ნავთლუღს. . . | 30 „ |
| ნათლულიდგან ქალაქს . . . | 40 „ |
| ქალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე . . . | 50 „ |
| იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება . . . . | 80 „ |
| ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს . | 40 |
| იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება . . . . | 1 მ. |
| ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე . . . . . . | 80 კ. |
| კრწანისის ბაღამდე . . . . | 80 „ |
| ნათლულიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთეიდის ბაღამდე . | 80 „ |
| რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს . . . . | 60 „ |
| იქიდამ ნათლულამდე . . . . | 1—20 |

უკეთუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ელ საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკდომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბრამდე 30 კ.

# განცხადებანი


ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ლ ა ბ ო რ ა ტ ო რ ი ა

**რის გუტმანისა**

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარის ვაჭარი.




**ინდოური მიშუნაი**

(ქიმიკოსის რის გუტმანისა)

ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათა მათ გვართა. ეს საშუალება განდევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან განსაკუთრებით ზემოხსენებულ პირუტყვებს, იმრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არ ავრცელებენ იქიდგან. ფასი 60 კ.—1 მ. 50 კ.

ინდოურის ფხვნილი მწერთა მოსაგერებლად ყველაზედ ნამდვილი საშუალება საბოლოვო გასაწყვეტად ყოველგვარ მწერთა და მათის თესლისა. ეს ფხვნილი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოს გასაწყვეტად კრაოტებში, ლეიბებში, გალესილ კედლებში და აგრეთვე ფიცრის კედლებში, რომელსაც გაკრული აქვს ნაბდები და ნაძენძი. ჩრჩილსა სწყვეტავს ნავთალინისავით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არა აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქისა და სხვა ტყავიან სამოსლების შესანახავად მიცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველგვარი ჭია-ღუის წინაამდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კაპ., 65 კ. და 1 მ. 20 კ.

სითხე ბაღლინჯოს წინაამდეგ (ქიმიკოსის რის გუტმანისა). სამუდამოთა სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ ალაქავებს სიცედს, შპალერს და ავეჯს. შეფრქვეული ოთახის ჰაერს სასიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთად განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს. ფასი 60 კაპ. —1 მან.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის გუტმანისა) განჰკურნავს ბებერას, მეჭეჭს და სხვა ამ გვარს, მოკლე დროს განმავლობაში. ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს ადამიანს. ფასი თითო კოლოფისა 60 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისში, სააფთიაქ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველს სააფთიაქო მაღაზიაში. (40—6.—33)

„GRAND PRIX“ PARIS 1900.

Т—во Высшей

парфюмеріи

А. Ралле и К°

„Рефль“


**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მის მაღალ-აღმატებულების ბ-ნ ფინანსთა მინისტრის ნება-რთვით, გაბათილებულად არიან ცნობილნი ქალაქ ტფილისის მესამე სესხის ობლიგაციები, რომელიც მოპარულ იქმნა ქალაქის გამგეობის კასიდგან 23 სეკდემბერს 1901 წლისა, 1,000 მანეთიანები, საერთო ღირებულობით, როგორც ობლიგაციებს ზედ აწერია, 592,000 მანეთისა; ობლიგაციის №№: 151—159, 161—346, 348—457, 459—581 და 583—750, სულ 592 ფურცელი.

ამ გაბათილებულ ობლიგაციებზედ გამგეობის ბუღალტერს ხელი არ უწერია და არც დანიშნული აქვს რიგი საბუღალტერო ნომრებისა, ხოლო აღბეჭდილი აქვს: ტფილისის ქალაქის მოურავი გ. ევანგულოვი, გამგეობის წევრნი: თავ. ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, თავ. ვ. ჩერქეზიშვილი, ე. ხოსროევი; კუპონებსა და ტალონებზედ აღბეჭდილია—ტფილისის ქალაქის მოურავი გ. ევანგულოვი.

ამ გაბათილებულთა გარდა გამოიცა ახალი ობლიგაციები ქალაქ ტფილისის მესამისავე სესხისა კუთვნილის კუპონებითა და ტალონებით და ამ ობლიგაციებზე აღბეჭდილია ხელნაწერის მინაგვარად: И. д. Тифлисскаго Городского Головы М. Шестаковъ. Члены управы кн. В. Черкезовъ, Т. Энфіанджіанцъ, Е. Хосроевъ, ხოლო კუპონებსა და ტალონებს იმნაირადვე აღბეჭდილი აქვს— И. д. Тифлисскаго Городского Головы М. Шестаковъ.

ობლიგაციების ნიმუშები აბარია სახელმწიფო ბანკსა და მის ყველა განყოფილებათა მთელ იმპერიაში.

(3—6—3)

**ტფილისის ქალაქის გამგეობისათვის**

საჭიროა ცარიელი ადგილები ან დიდი ეზოები იმ მასალის დასაწყობად, რომელიც სჭირია ქუჩების მოსაკირწყლავად და შასაკეთებლად. ამიტომ გამგეობა წინადადებას აძლევს ასეთ ადგილების ან ეზოების პატრონთ შემოიტანონ განცხადებანი ქუჩების მომკირწყვლელ კომისიის თავმჯდომარის სახელობაზე 20 აგვისტომდე.

შემდეგი პირობანი აუცილებლად საჭიროა: 1. თავისუფალი ეზო ან ცარიელი ადგილი არ უნდა იყოს 300 ოთხ-კუთხ საჟენზე ნაკლები. სასურველია 600-მდე საჟენი იყოს; 2. საწყობებისთვის ადგილები საჭიროა: პოლიციის მეოთხე ნაწილში; პირველ ნაწილში (ვერაზე); მეექვსე ნაწილში (სასურველია ვორონცოვის შოეს მახლობლად); დიდუბეში (ვოკზლისა ან ლიანდაგის მახლობლად); ავლაბარში კახეთის შოსსეს მახლობლად); პოლიციის მეხუთე ნაწილში. ჭ. ადგილები საწყობებისთვის შემოვლებული უნდა იყოს ქვის ან ქვითკირის კედლით. უნდა ჰქონდეს სადარაჯო ბუდკა ალაყაფის კარებთან და ოთახი სამზარეულოიანურთ. 4. ვადა დაქირავებისა 3—4 წელიწადი იქმნება. ქირას ქალაქი ნახევარ წლობით გადიხდის წინდაწინ. 5. მესამე მუხლი სავალდებულო არ არის, რადგან თუ ვადა 3—5 წელიწადი იქმნება, შენობანი ქირის ფულით თვით ქალაქის გამგეობას შეუძლიან აავოს. 3—6—3


**მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი**

**— სტამბა —**

**ექვთიმე ივ. ხელაძისა,**

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხების სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფ ა ს ი ყ ვ ე ლ ა ს ა თ ვ ი ს ხ ე ლ მ ი ს ა წ ვ დ ო მ ი ა.

# საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1903—1904 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი; 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუჰგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სეკდემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექდემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში:

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუჩარიანცს, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მანქანაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღე,

# საბუღალტერო კლასები

# ი. ი. ბრონ-ფონ-ბრენერისა

მიხეილის პროსპექტი № 161.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბერს და ნახევარს წელიწადს გასტანს. მასწავლებელთა კრებული საუკეთესო სპეციალისტებისაგან შესდგება. კლასებთან სავაჭრო მუზეუმი, ბიბლიოთეკა და ბიურო არის. პროგრამა ს.-პეტერბურგის კურსებისა. საგანგებო ლექციები იქნება სავაჭრო საქონლის მეტყველებისა, კომერციულ ეკონომიისა, საგანგებო ანგარიშებისა: ბანკისა, რკინის გზისა, სახელმწიფო ხაზინისა, სახაზინო სასმელთა ვაჭრობისა, ფაბრიკისა და სხვ. თხოვნები მიიღება 10 სექტემბრამდე კლასების კანცელარიაში, მიხეილის პროსპექტზე, № 161, დილის 9 საათიდან 1-მდე და საღამოს 5 საათიდან 8-მდე.

დამაარსებელი კლასებისა ი. ბრონ-ფონ-ბრენერი. (15—3)

# საბუღალტერო კლასები

მიხეილის პროსპექტი, № 161.

რადგანაც ზოგმა ტფილისის **ნოქართაგანმა** არა ერთხელა გვთხოვა, მიგვეცა მათთვის საშუალება კომერციულის ცოდნის შეძენისა, სიამოვნებით ვეგებებით ამ სურვილს და ვაარსებთ 15 აგვისტოდგან საღამოს კურსებს საკანტორო საქმეთა შესასწავლად შემდეგის პროგრამით:

1) ელემენტარული ანგარიში;
2) არითმეტიკა საანგარიშოებზედ;
3) კომერციული გამოანგარიშება;
4) სავაჭრო ქაღალდების შედგენა (ანგარიში, ფაქტურა და სხვ.);
5) ნოქრების მოვალეობა მუშტრისა და აღებ-მიცემობის წინაშე.

კურსებზედ მივიღებთ ყველას, ვინც წერა-კითხვა იცის, განურჩევლად ხნოვანებისა.

სწავლა იქნება საღამოობით ცხრის ნახევარ საათიდგან ათ საათამდე; ფასი თვეში 5 მანეთი, წელიწადში—40 მან.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ მხოლოდ 15 აგვისტომდე კლასების კანცელარიაში (მიხეილის პროსპ., 161), ყოველ დღე, საღამოს ცხრის ნახევარ საათიდგან 10 საათამდე, ანუ რუსეთის სატრანსპორტო საზოგადოების კანტორაში—ი. ო. ტერ-არუთინოვთან.

დამაარსებელი კლასებისა ი. ბრონ-ფონ-ბრენერი. (6—3).


Дозволено цензурою, Тифлисъ, 13 августа 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით რედაქტორი ზ. ჭიჭინაძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი,